გამარჯობა, კიდევ ერთხელ.

სხდომის დროს შეგპირდით რომ გადავამოწმებდი როდის გახდა ცნობილი წამების შესახებ.

აღმოჩნდა, რომ 4 დეკემბერს უკვე განცხადება გაკეთებული ჰქონდა წამების კონსორციუმს. ამ საკითხზე იმ დღესვე მეც უკვე მქონდა გამოქვეყნებული ფეისბუქზე პოსტი;

მაკა ცინცაძეს გადაცემა 11 დეკემბერს ჩაწერა ბატონ ფიფიასთან. ასე რომ მაკა ცინცაძისთვის ეს ინფო ხემისაწვდომი იყო. შესაბამისად, მან ან არაპროფესიონალიზმის გამო ვერ მოიძია ეს ონფო, ან ჰქონდა ინფო, მაგრამ განზრახ დაუმალა ის საზოგადოებას.

დიდი მადლობა!!!

!!!!!! უპრეცედენტო ძალადობა პოლიციის მხრიდან მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ თბილისსა და ბათუმში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს! ნათქვამია დღეს გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც კონსორციუმმა- ერთად ძალადობის წინააღმდეგ (UATC) გამოაქვეყნა.

სრულად განცხადების ნახვა ინგლისურ ენაზე შესაძლებელია ამ ლინკზე: https://lnkd.in/dAjGanwA

განცხადებაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს რეაგირება ადამიანის უფლებების კრიზისის გამწვავებაზე, გამოიძიოს მომხდარი და პასუხი აგებინოს დამნაშავეებს.

ბოლო ხუთი დღის განმავლობაში, ქართული პოლიცია განურჩევლად იყენებდა რეზინის ტყვიებს, წიწაკის სპრეის, ცრემლმდენ გაზს და წყლის ჭავლს მომიტინგეების წინააღმდეგ. უმრავლეს შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლებს არ ჰქონდათ იდენტიფიკაციის ნიშნები და მომიტინგეებს გაფრთხილების გარეშე ესხმოდნენ თავს.

ზოგიერთმა დაზარალებულმა განაცხადა, რომ მიიღო დამწვრობები, სავარაუდოდ, ქიმიური გამღიზიანებლების გამო, რომლებიც წყლის ჭავლში იყო შერეული. ადგილობრივი ადამიანის უფლებების დამცველების თქმით, სპეცრაზმმა მომიტინგეები ალყაში მოაქცია და შეუტია მათ, ნაცვლად იმისა, რომ დაეშალა ისინი.

ქართველი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციამ ბოლო ხუთი დღის განმავლობაში დააფიქსირა ათობით მშვიდობიანი მომიტინგე, რომლებიც სასტიკად სცემეს ნიღბიანმა პოლიციელებმა, როცა ისინი პარლამენტის წინ პროტესტისთვის იკრიბებოდნენ.

პირები მომიტინგეებს მიწაზე აგდებდნენ, ურტყამდნენ მუშტებს, ფეხებით სცემდნენ და ხელკეტებით ურტყამდნენ სხეულსა და თავზე. ასევე დაფიქსირდა პოლიციის მიერ ჯგუფური ცემის შემთხვევები, მათ შორის იმ პირებისა, რომლებიც უკვე მიწაზე იწვნენ. ცემის ფაქტები, გრძელდებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორებში გადაყვანისა და პატიმრობის დროს.

👉 https://lnkd.in/daj2h6cq

👉 https://lnkd.in/dN_NjMNP

👉 https://lnkd.in/damB5fdF

კონსორციუმი მხარს უჭერს ქართული სამოქალაქო საზოგადოების მოწოდებებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატივი სცეს შეკრების თავისუფლებას პროტესტების დროს, შეწყვიტოს #წამება, არასათანადო მოპყრობა და სხვა ძალადობრივი ანგარიშსწორება მომიტინგეების მიმართ, უზრუნველყოს დაზარალებულთათვის სრულყოფილი კომპენსაციის გაცემა, გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებული ყველა პირი და უზრუნველყოს, რომ ყველა პოლიციელს ჰქონდეს იდენტიფიკაციის ხილული ნიშნები პასუხისმგებლობის დასადგენად.

კონსორციუმი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანი სუფლებების საბჭოს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურს, ეუთოსა და ევროპის საბჭოს, რომ მიიღონ სასწრაფო ზომები მომიტინგეების დასაცავად, ძალადობის გამოძიებისთვის და დანაშაულებისა და ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის პასუხისმგებელთა გასამართლების უზრუნველსაყოფად.

ამაში უნდა შედიოდეს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის მხარდაჭერა, დამოუკიდებელი საერთაშორისო ადამიანის უფლებების გამოძიება და ზეწოლა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებზე.

World Organisation Against Torture (OMCT)

REDRESS

FIACAT

Omega Research Foundation

Association for the Prevention of Torture (APT)

GCRT - საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

https://irct.org/wp-content/uploads/2024/12/UATC-Georgia-Statement-Final-03-12-24.pdf